დრ. ზეკეე დეკმარ

ოჯახური ნათესაობა

بسم الله الرحمن الرحيم

დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1591
ჯიბის წიგნები:138

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი
ლოქმან არსლანი

გამოცემისთვის მოამზადა
უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
20.02.2019/24

ISBN: 978-605-7519-49-7
2019-06-Y-0003-1591
სერთიფიკატის ნო: 12930
1. გამოცემა, ანკარა 2019

გამოცემა
Başak Mat. Tanı. Hiz. İth. İhr. Tic. Ltd. Şti.
+90 312 397 16 17

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü
Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı
Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı
No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE
ტელ: +90 312 295 72 81
ფაქსი: +90 312 284 72 88
e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

ოჯახური პაციენტია

დრ. ზეკიე დემირ

თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

სარჩევი
რწმენის პირობები

წინასიტყვაობა • 5

შესავალი • 9

ოჯახის მნიშვნელობა • 15

ოჯახი, საზოგადოება და მსოფლიო • 19

ოჯახის უსაფრთხოება • 23

ოჯახური მოვალეობები • 27

მეუღლეების უფლება-მოვალეობები ერთმანეთის მიმართ • 29

მშობლების მოვალეობები და პასუხისმგებლობა შვილების წინაშე • 32

ბავშვების პასუხისმგებლობა მშობლების მიმართ • 36

ბავშვების მოვალეობები ერთმანეთის მიმართ • 37

ბედნიერი ოჯახის ჩამოყალიბებისათვის რა უნდა გაკეთდეს და რა არ უნდა გაკეთდეს? • 38

ნაკლოვანებები აღმოჩენა კი არა დაფარვაა მნიშვნელოვანი • 40

ურთიერთობაში ეგოისტურად არ უნდა მოვიქცეთ • 42

უპირატესობა არსებულს უნდა მიენიჭოს და არა არარსებულს • 46

სიყვარული და სასიამოვნო სიტყვები • 48

მეუღლის ოჯახვს პატივი უნდა ვცეთ • 50

უნდა იყოს „ჩვენ“ და არა „მე“ • 51

ურთიერთობა ღია უნდა იყოს • 54

თანაცხოვრება • 57

სინაზე • 59

სისუფთავე • 61

წინასიტყვაობა

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სივრცეში მცხოვრები ადამიანები ვალდებულნი არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან ოჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

სურა ყიამეთის 36-ე აიათი მიგვითითებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს,აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებოძათ!“

სურა თექასურის მე-8 აიათი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებოძა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვალდებუ-

ლებები დაეკისრა, რომელიც შეძლებიდაგ-
ვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშვიდეს, უმთავრესად
გაურკვევლობა არღვევს, ყველას გვეკისრე-
ბა პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ღირ-
სებისთვის შესაფერისი მომავალი შევიქმ-
ნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგადო-
ებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არ-
სებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოე-
ბის მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრე-
ბა. ესენია: შიმშლი, სიღარიბე, გარემოს და-
ბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სო-
ციალური უთანასწორობა, არათანაბარი პი-
რობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიე-
რი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებე-
ბი, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად
ჯანსაღი გარემო, გაურკვევლობა განათლე-
ბისა და სამართლიანობის სფეროში, ისტო-
რიული და კულტურული ღირებულებების
განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყვე-
ლაფერს ემატება ადამიანებს შორის დია-
ლოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებ-
ლობის შემცირება, განსხვავებული აზრის
დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული
რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებე-
ლი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეო-

ბა რაღაც ფორმით, გაურკვევლობაშია ჩაფ-
ლული. ამ საკითხების მოსაგვარევლად კი
ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავე-
ბა და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმე-
დითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ
ჩვენს ხელთ არსებულ ღირებულებებს ვერ
ვამჩნევთ და შესაბამისად ამ ღირებულებე-
ბით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქედან,
ჯერ ეს ღირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ
და ყოველდღიურობაში დავნერგოთ. უეჭვე-
ლია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვა-
ნი ღირებულება ისლამია, რომელიც რამდე-
ნიმე ათეული საუკუნის განმავლობაში, კა-
ცობრიობას გზას უნათებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების გან-
ვითარების მიზნით შემუშავებული, ფსიქო-
თერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობი-
სათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკო-
მანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მს-
გავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგი-
ის მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია
საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედრო-
ვე გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმი-
სო დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლი-
ოს ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების
მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევე-
ბი, რომლებიც ურთიერთდახმარებისა და

ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვიღოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაზროთ და ცხოვრების ჭირი და ლხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთთანადგომა უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ყველამ ერთად ვიბრძოლოთ.

შესავალი

რა არის ოჯახი?

ოჯახი საზოგადოების შემადგენელი ყველაზე დიდი ერთეულია. პატარა ოჯახი, ზოგადად მშობლების და მათი შვილებისაგან შედგება, ხოლო დიდ ოჯახში მშობლებთან და შვილებთან ერთად ბებია,ბაბუა და სხვა ახლო ნათესავები ცხოვრობენ. ოჯახი საზოგადოებრივი წყობის პატარა მოდელია. მტკიცე ოჯახი მტკიცე საზოგადოების მაჩვენებელია. სწორედ ოჯახია ის ადგილი, სადაც ურთიერთსიყვარული და ურთიერთგატანა ყველაზე მეტად იგრძნობა. სწორედ აქ ხდება ტრადიციების და წესების შესწავლა და ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი გზავნილების ათვისება.

ოჯახის დაცვა, რელიგიური ცხოვრების განგრძობადობისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია. ისალმი მოუწოდებს ადამიანებს სწორი ცხოვრებისკენ და სთავაზობს პრინციპებს, რომლებიც მათ რწმენას აყალიბებს და ქცევებს აწესრიგებს. რადგანაც სწორედ ოჯახია ის ადგილი, სადაც რწმენა და ქცევები ყალიბდება, ისლამი ოჯახის ინსტიტუტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ოჯახის უსაფრთხოება დიდ როლს თამაშობს, როგორც ინდივიდის, ისე საზოგა-

დოების სიმშვიდისა და ბედნიერებისათვის. მედნიერი ინდივიდებისგან შემდგარი ოჯახები, ბედნიერ საზოგადოებას ქმნიან. ამიტომ ოჯახური ბედნიერება, ოჯახის ერთიანობისა და მისი შენარჩუნების მთავარი პირობაა. უბედური ადამიანები ოჯახის სიმტკიცეს ვერ შეინარჩუნებენ და შესაბამისად ვერც ჯანსაღი საზოგადოება ჩამოყალიბდება.

ოჯახის შექმნა

‘ახალგაზრდებო, ვისაც ოჯახის შექმნის საშუალება გაქვთ, დაქორწინდით“! (ბუჰარი, ნიქაჰ)

ოჯახის შექმნა მშობლების შეუღლებით იწყება. ამის შემდეგ კი ახლად შექმნილ

ოჯახს ბავშვებიც შეემატება. ოჯახი მაშინ იქმნება, როცა წყვილი ოჯახის შექმნის მიზნით ერთად ცხოვრებას იწყებს. ოჯახის შექმნის მიზნის გარეშე წყვილების ერთად ყოფნა ოჯახს არ ნიშნავს. ოჯახის შექმნა, ეს არ არის დროებითი გატაცების, ან ერთად ყოფნის სურვილის დაკმაყოფილება. ეს არის მტკიცე ურთიერთობის დაწყება, როდესაც წყვილი მთელი ცხოვრების მანძილზე, სიკვდილამდე ერთად იზიარებს ჭირსა და ლხინს, ბედნიერებასა და უბედურებას და ა.შ. სწორედ ამიტომ ეწოდებათ მათ მეუღლეები. ამიტომ ოჯახის შექმნა დიდ გაბედულებას მოითხოვს და მისი შენარჩუნებაც დიდ ძალისხმევას საჭიროებს. წმ. ყურანში და ჰადისებში არის გზავნილები, რომლებიც ქორწინებისა და ოჯახის შექმნისაკენ მოგვიწოდებს. ისლამის მიხედვით, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ზოგადი პრინციპი მდგომარეობს არა მათ ცალ-ცალკე ცხოვრებაში, არამედ ლეგიტიმური ფორმით, ანუ ღმერთის მიერ დაწესებული წესების მიხედვით თანაცხოვრებაში.

ოჯახი, როგორც ზევით მოგახსენეთ, საზოგადოების შემადგენელი მნიშვნელოვანი ერთეულია და შესაბამისად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ თვისებებს, რომლებიც ოჯახის შექმნის კანდიდატებს უნდა ახასიათებდეთ. ამ ადამიანებმა ერთმანეთთან ბედნიერება უნდა ჰპოვონ.

„მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ თქვენგანვე გააჩინა თქვენი მეწყვილე, რათა იპოვოთ მასში სიმშვიდე, დაგიდგინათ ერთმანეთში სიყვარული და მოწყალება. უეჭველად, ამაში სასწაულებია მოაზროვნე ხალხთათვის!“ (რუმ 21)

„ნებადართული იქმნა თქვენთვის მარხვის დროს დამით ცოლებთან თანაცხოვრება, ისინი სამოსელია თქვენი და თქვენ ხართ სამოსელი მათი. ალლაჰმა იცოდა, რომ თავს იწვალებდით, ამიტომაც მიიღო თქვენი სინანული და მოგიტევათ.“ (ბაყარა 187)

აიათში მეუღლეების სამოსელთან შედარება საკმაოდ ყურადსაღები მომენტია. სამოსელი ადამიანს ზამთარში სიცივისგან და ზაფხულში სიცხისგან იცავს. ქორწინებაში მყოფი წყვილებიც ნებისმიერ დროს, ჭირსა და ლხინში ერთმანეთს მხარში უნდა ედგნენ. ტანისამოსი სხეულს ფარავს და იცავს მას. გარდა ამისა, ტანისამოსი ადამიანს ალამაზებს და უფრო მოხდენილს წარმოაჩენს. მეუღლეებმაც ერთიმეორის ცუდი მხარეები და ნაკლოვანებები უნდა დაფარონ და ამრიგად ცოდვისაგანაც დაცულნი იქნებიან.

მაშ, რა არის ის თვისებები, რომლებიც ოჯახის შექმნის კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ, რათა მათ ეს ყველაფერი შეძლონ და ჰარმონიული ოჯახი შექმნან?

ეს თვისებები წმ. შუამავალმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

„ქვეყნად ყველაფერი ძვირფასია, ხოლო ყველაზე კარგი ღირსეული მანდილოსანია.“

„ქალი ოთხი თვისების გამო შეიძლება ცოლად შევირთოთ: სიმდიდრე, გვარიშვილობა, სილამაზე და მორწმუნეობა. შენ მორწმუნე არჩიე.“

ყველა ეს თვისება, რაც მანდილოსნების შესახებ იქნა ჩამოთვლილი, შეგვიძლია მამაკაცებსაც მოვარგოთ. ქალისთვის ყველაზე სასარგებლო არსება კარგი მეუღლეა. ქალებიც კაცის ოთხი თვსების გამო შეიძლება დაქორწინდნენ. ესენია: გარეგნული მოხდენილობა, სიმდიდრე, გვარიშვილობა და მორწმუნეობა. ქალებმაც თავიანთი არჩევანი მორწმუნისა და ზნეკეთილის სასარგებლოდ უნდა გააკეთონ.

არჩევანისას, რატომ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა მორწმუნე და ღვთისმოშიშ ადამიანს, ეს თემა კიდე უნდა განვავრცოთ. გარეგნული მოხდენილობა და სილამაზე ერთმანეთის ტოლის და სწორის მონახვის თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანია. ეს თვისებები, უმეტესწილად ადამიანს მემკვიდრეობით ახასიათებს და მათი მოპოვება მის ნებასა და მცდელობაზე არ არის დამოკიდებული. ანუ, გვარიშილობა და სილა-

მაზე ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება და ეს თვისებები მისი დამსახურება არ გახლავთ. სიმდიდრის უმეტესი ნაწილიც ისევ სიმდიდრისგან მომდინარეობს. ამ თვისებებით ვერ გავიგებთ, თუ რას მოიმოქმედებს მომავალი მეუღლე და როგორ მოიქცევა ის კონკრეტულ სიტუაციაში. მორწმუნეობა, კეთილი ზნე და კარგი აღზრდა ადამიანის შემდგომი შენაძენია. შესაბამისად მორწმუნე, ზნეკეთილი და კარგად აღზრდილი ადამიანისგან მოსალოდნელი საქციელის გამოცნობა შესაძლებელია. იმ ადამიანისგან, რომელიც ცოდვისა დაბოროტი ქმედებისგან შორს დგას, ოჯახის საწინააღმდეგო რაიმის ჩადენა წარმოუდგენელია. მორწმუნე ადამიანი, რომელსაც ზნეკეთილობა გამოარჩევს დიდად სანდოა და შესაბამისად დაქორწინებისას ეს მისთვის დიდი პრივილეგიაა.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ ჩამოთვლილი თვისებები (სიმდიდრე, სიმპათიურობა, ზნეკეთილობა, გვარიშვილობა და მორწმუნეობა) ერთიმეორეს არ გამორიცხავს. ადამიანი შეიძლება იყოს მდიდარიც, ზნეკეთილიც, მორწმუნეც და კაი გვარიშვილიც. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება გაცილებით იოლია. წმ. შუამავლის რჩევები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როცა ეს თვისებები ადამიანში ერთად არ არის თავმოყრილი. მორწმუ-

ნე ადამიანი ისეთ ადამიანით არ უნდა მოიხიბლოს, რომელიც მდიდარი და სიმპათიურია, მაგრამ არ არის მორწმუნე. სიმდიდრე წარმავალია, ისევე როგორც სილამაზე, ხოლო მორწმუნეობა და მაღალი ზნეობა რჩება და ის ადამიანს მუდმივად წარმოაჩენს.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საქორწინო ვაჟი ან ქალი კარგად უნდა დაფიქრდეს, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამს, რათა იმედი არ გაუცრუვდეს და რეალურად ოჯახური ჰარმონია ჰპოვოს. ქორწინება სასუველია ერთიმეორის შესაფერის წყვილს შორის მოხდეს. შეუფერებელ წყვილს შორის პრობლემების გაჩენის ალბათობა მაღალია, რაც შემდგომში ოჯახის დანგრევის წინაპირობა შეიძლება გახდეს.

ოჯახის მნიშვნელობა

„ოჯახი ის ციხესიმაგრეა, სადაც ბოროტება ვერ დაიმკვიდრებს“ ენდრიუ ვილსონი

მეუღლის შერჩევისას გამოჩენილი წინდახედულება არამარტო დაქორწინებული წყვილის ბედნიერებისთვისაა საჭირო, არამედ ის მნიშვნელოვანია ოჯახური სიმტკიცის შენარჩუნებისთვისაც. მტკიცე ოჯახი, მტკიცე საზოგადოებას ქმნის.

ოჯახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია შთამომავლობის გაგრძელების უზრუნველყოფაა. ისეთ საზოგადოებაში, სადაც ოჯახები სიმტკიცით არ გამოირჩევიან, ჯანსაღი ინდივიდების წარმოშობა უკიდურესად ძნელდება. დასავლურ ხალხებში მოსახლეობის სწრაფი დაბერების ტენდენციები შეინიშნება. ქორწინებამდელი უკანონო კავშირების მიმდევარ ახალგაზრდებს შვილის გაჩენა და მათი მარტოდ აღზრდის წასუხისმგებლობის ტვირთვა არ სურთ. ამის გამოა, რომ ახალი თაობების კლება ხდება და მოსახლეობა „ბერდება“. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, ხსენებული პრობლემის მქონე ქვეყნებში, მთავრობები სპეციალურ კანონებს გამოსცემენ, რათა ქორწინება და შვილების გაჩენა წაახალისონ.

თანამედროვეობის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა მარტოობაა. გარდა ამისა, ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ფსიქიკური (სულიერი) ან ბიოლოგიური (ფიზიკური) პრობლემები. ყოველ ადამიანს სურს თავისი სიხარული, ბედნიერება და უბედურება სხვას გაუზიაროს. ოჯახური გარემო სწორედ ის ადგილია, სადაც ადამიანები თავიანთ სიხარულსა თუ წუხილს ერთიმეორეს უზიარებენ და ამ საჭიოებას იკმაყოფილებენ. ეს კი მათ სიმარტოვისგან იცავს. ამრიგად, ოჯახის წევრები სულიერად და ფი-

ზიკურად ერთმანეთს ეხმარებიან და ასეთი ერთიანობით ცხოვრობენ.

ისეთ საზოგადოებაში, სადაც ოჯახის ინსტიტუტის როლი შესუსტებულია მრუშობა და სხვა მსგავსი უზნეობა ვრცელდება, ეს კი ადამიანებს შორის მრავალი სახის ფიზიკურ, სულიერ და სოციალურ უბედურებებს იწვევს. სწორედ ოჯახია ის ინსტიტუტი, რომელიც საზოგადოებაში წარმოქმნილ ზნეობრივ ჩავარდნებს წინ აღუდგება.

ბევრი ფუნქცია, რომელიც წარსულში ოჯახს გააჩნდა (განათლება, სოციალური უსაფრთხოება და სხვ.) დროის გასვლასთან ერთად სხვა საზოგადოებრივ ინსტი-

ტუტებზე იქნა გადაბარებული. აქედან გამომდინარე ბევრმა იფიქრა, რომ ოჯახის ყველა ფუნქციის სხვა ინსტიტუტებზე გადაბარება იყო შესაძლებელი და ზოგიერთმა ეს სცადა კიდეც. თუმცა, ამ მცდელობას რაიმე დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. ამის კვალობაზე ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანები ქორწინების გარეშე აგრძელებენ ცხოვრებას, ხოლო სიბერეში პენსიით და სხვა სოციალური პროგრამების საშუალებით ახერხებენ თავის გატანას. თუმცა, ეს ყველაფერი ოჯახის ადგილს ვერასოდეს დაიკავებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ოჯახის ეკონომიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული და ბიოლოგიური ფუნქციების სხვა ინსტიტუტებზე გადაბარება შესაძლებელი არ ჩანს.

დღეს, ოჯახი არის ის ციხესიმაგრე, რომელიც კაცობრიობას იცავს სამი ძირითადი საფრთხისაგან. ესენია: დანაშაული, ტერორი და დაავადებები (მაგ. შიდსი და სხვ). გარდა ამისა, ოჯახი მნიშვნელოვანი ფაქტორია სტრესის დაძლევის და სხვა მრავალი უბედურების თავიდან აცილების საკითხში.

მუსლიმი ინდივიდების კუთხით ოჯახი, თავისი ბედნიერი გარემოთი, დედამიწას სა-

მოთხედ გადააქცევს ხოლმე. ეს არის ადგილი, რომელიც ადამიანების მიერ გამოხატული თანადგომის შედეგად სამოთხეს ემსგავსება.

ოჯახი, საზოგადოება და მსოფლიო

მტკიცე საოჯახო ინსტიტუტი არამარტო თვით ოჯახის წევრებისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ მთელი საზოგადოების, ქვეყნისა და ზოგადად მსოფლიო წესრიგისთვისაც მნიშვნელოვანია. სწორედ ოჯახია ის ცენტრი, სადაც ახალი თაობები წარმოიშობა. კარგი თაობა მხოლოდ კარგ ოჯახში შეიძლება აღიზარდოს. ასე რომ თაობების აღზრდის საქმეში ოჯახის როლი ძალიან დიდია.

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია არა ნებისმიერი ინდივიდის არსებობა, არამედ ისეთი ინდივიდის აღზრდა, რომელიც საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას შეინარჩუნებს, მისი წესების დაცვით იცხოვრებს, საერთო მიზნების შესაბამისად იბრძოლებს და ზოგადად საზოგადოებისთვის სასარგებლო წევრი იქნება. ამიტომ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ოჯახის, არამედ კარგი ოჯახის არსებობა. წარმოვიდგინოთ ორი სხვადასხვა ოჯახი, რომელთაგან თითოეულს თითო ჩვილი ბავშვი ყავს. საზოგადოება ამ ორივე ოჯახისგან ელოდება ისეთი შვილების აღზრდას, რომლებიც იქნებოდნენ მოსიყვარულე, სამართლიანი ადამიანები, ეყვარებოდათ ხალხი და გარემო, იქნებოდნენ პასუხისმგებლობის მატარებელნი და სანდონი. ამ ორი ოჯახიდან ერთი ძალიან დიდი მონდომებით ზრდის ბავშვს. ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ბავშვი წესიერი და ღირსეული პიროვნება აღიზარდოს. მეორე ოჯახი კი ბავშვის აღზრდას მაინცდამაინც ყურადღებას არ აქცევს და ასე ვთქვათ, ალალბედზე ზრდის. განა შეიძლება ეს ორი ბავშვი ერთნაირი აღიზარდოს? რაცარუნდა მოსალოდნელი იყოს გამონაკლისი, პირველი ოჯახის მიერ აღზრდილი ბავშვის შემთხვევაში დადებითი შედეგი უფრო მეტადაა მოსალოდნელი, ვიდრე მეორე ოჯახის მიერ აღზრდილი ბავშვის შემთხვევაში.

თუ ერთ ოჯახში აღზრდილი ბავშვი შეიძენს სათანადო უნარ-ჩვევებს და განათლებას, რათა შემდეგში იყოს სასარგებლო როგორც საკუთარი ოჯახის ისე საზოგადოებისთვის, ხოლო მეორე ბავშვი აღიზრდება ისე, რომ მუდმივად სხვისი დახმარების შემყურე იქნება და საერთოდ საზოგადოებას ტვირთად დააწვება, ეს ორივე პიროვნება ბუნებრივია გარკვეული გაგებით თაბასწორი ვერ იქნებიან. ბავშვის აღზრდა მხოლოდ მის ბიოლოგიურ ზრდას არ გულისხმობს და საჭიროა მისი საზოგადოებისთვის სასარგებლო პიროვნებად ჩამოყალიბება. ამიტომ, ოჯახის უმთავრესი მოვალეობა ბავშვის კარგი აღზრდაა.

ბავშვი მშობლებზე მიბარებული ამანათია და მათ, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი შვილის აღზრდა მხოლოდ ბედნიერი ოჯახის პირობებში შეუძლიათ. ჯანსაღი, საზოგადოების საერთო ღირებულებების მიმართ პატივისცემის მატარებელი, მორწმუნე, გარემოს მიმართ ყურადღებიანი და ღირსეული თაობების აღზრდა მხოლოდ ბედნიერ ჭერქვეშ, მშობლების სიყვარულისა და ყურადღების მეოხებითაა შესაძლებელი.

დანგრეული ოჯახის შვილები, ბუნებრივია ყურადღებას და სიყვარულს მოკლებულნი არიან. ბავშვი, რომელიც სანდო გა-

რემოში არ არის გაზრდილი,ნდობას იოლად ვერ შექმნის. სიყვარულსა და ყურადღებას მოკლებული მოზარდი, სიყვარულით სავსე სამყაროს იოლად ვერ ჩამოაყალიბებს. დანაშაულის კვლევებმა აჩვენა, რომ დამნაშავეთა უმეტესობა სწორედ რომ უპატრონო ბავშვები, ან დანგრეული ოჯახის შვილები არიან. ასეთ ბავშვებს ოჯახური სითბო და მზრუნველობა აკლიათ, ამიტომ მათი დანაშაულებრივ გარემოში მოხვედრა გაცილებით მარტივია. გარდა ამისა, კვლევებმა ცხადყო, რომ ოჯახში გაზრდილ ბავშვებთან შედარებით, ოჯახს გარეთ, ან ქუჩაში გაზრდილ ბავშვებს ფსიქოლოგიური, სოციალური და ზნეობრივი თვალსაზრისით მეტი პრობლემები აქვთ.

ტბაში ჩაგდებული ქვის შედეგად წყლის ზედაპირზე წარმოშობილი და გავრცელებული რგოლების მსგავსად ბედნიერი ოჯახი კარგ პიროვნებებს აღზრდის, კარგი პიროვნებები კარგ საზოგადოებას შექმნიან, კარგი საზოგადოება კი კარგ ქვეყანას ქმნის. კარგი ქვეყნებისგან კი კარგი მსოფლიო ყალიბდება. აქ, წყალში ჩაგდებული ქვა, ანუ ოჯახი, რაოდენაც ძლიერი იქნება, იმდენად ძლიერად გავრცელდება რგოლები.

მოკლედ რომ ვთქვათ, ოჯახი დიდ როლს თამაშობს, როგორც თაობების ბიოლოგი-

ურ და ზნეობრივ აღზრდაში, ისე ქვეყნისა და მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

ოჯახის უსაფრთხოება

ყოველი ინდივიდისა და საზოგადოების სიმშვიდისა და ბედნიერებისათვის დიდი მნიშნელობა აქვს ოჯახის დაცვას და უსაფრთხოებას. ქორწინების წახალისება და განქორწინების თავიდან აშორება, ოჯახის დაცვის პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორებია. საამისოდ კი ყველამ საკუთარი მოვალეობა უნდა შეასრულოს.

ოჯახის შექმნას და მის უსაფრთხოებას ყველაზე დიდ საფრთხეს მრუშობა უქმნის. ისლამის მიხედვით მრუშობა კატეგორიულად აკრძალულია. მრუშობა როგორც ზნეობრივად, ისე სამართლებრივადაც მიუღებელია. მრუშობა განსაკუთრებით ისეთ პირობებში ვრცელდება, სადაც მორალური ნორმები შესუსტებულია. შესაბამისად, ზნეობრივი ნორმების დაცვა ოჯახის უსაფრთხოებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

ისეთ გარემოში, სადაც პროსტიტუცია და მრუშობაა გავრცელებული, ოჯახური სიწმინდის შენარჩუნება უკიდურესად ძნელ-

დება. ასეთ შემთხვევაში ახალგაზრდების წახალისებაა საჭირო, რათა დროილად დაქორწინდნენ და მრუშობის ჭაობში არ ჩაეფლონ. დაქორწინების მსურველ ახალგაზრდებს უნდა დავეხმაროთ და არ უნდა დავუშვათ, რომ ახალგაზრდებმა სიღარიბის გამო დაქორწინებისგან თავის შეიკავონ. ოჯახის უსაფრთხოებისათვისა და მრუშობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად მრავალმხრივი პრევენციული ზომები უნდა იქნას გატარებული.

ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც მრუშობის გავრცელებას იწვევს, სიღარიბეა. განსაკუთრებით ეს ეხება ქალბატონებს, რა-

დგან სიღარიბეა სწორედ ის ფაქტორი, რომ-ლებიც მათ მრუშობისკენ უბიძგებს.

მრუშობა მხოლოდ უზნეო საქციელი არ არის. ის არის სფერო, სადაც დიდი ფუ-ლი ტრიალებს. ამ სფეროში მომუშავე, ანუ მსხვერპლი ადამიანების უმეტესობა ღარი-ბები არიან. შესაბამისად, სიღარიბის დაძ-ლევა და კეთილდღეობის მატება არამარტო შეამცირებს ოჯახების ნგრევას, არამედ გა-საქანს შეუზღუდავს მრუშობის გავრცელე-ბასაც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გოგონების განათლებასა და და-მოუკიდებელი ცხოვრებისათვის აუცილებე-ლი უნარ-ჩვევების შეძენას, რათა მათ შეძ-ლონ საკუთარი თავის რჩენა და სხვაზე არ გახდნენ დამოკიდებული. ხშირ შემთხვევა-ში სწორედ იმის ბრალია გოგონების პროს-ტიტუციაში ჩაბმა, რომ მათ არ შეუძლიათ თავი ირჩინონ. თუ პროსტიტუცია გამოწ-ვეულია არა სიღარიბის, არამედ სხვა მიზე-ზებით, ასეთ შემთხვევაში ძირითადი როლი ზნეობრივმა ფაქტორმა უნდა ითამაშოს, რათა ქალები ამ ჭაობში არ აღმოჩნდნენ.

ოჯახის უსაფრთხოების წინააღმდეგ მი-მართული კიდევ ერთი ფაქტორი ოჯახური ძალადობაა. იქ, სადაც კონფლიქტი სიტყვით და დიალოგის გზით არ გვარდება, საქმეში ძალადობა შემოდის. ძალადობა პრობლე-მის მოგვარება კი არ არის. ის ერთი მხა-

რის მეორეზე განხორციელებული ზეწოლა და ჩაგვრაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალადობა ძალის უსამართლოდ გამოყენებაა. ძლიერის მხრიდან სუსტის მიმართ გამოყენებული ძალადობის მრავალი ფორმა არსებობს. ძალადობის ნებისმიერი ფორმა დესტრუქციულია. ყველაზე მეტად დესტრუქციული ბუნების კი ოჯახური ძალადობაა, რადგან ამით მხოლოდ ძალადობის ადრესატი კი არ ზარალდება, არამედ მთელი საზოგადოება უბედურების საფრთხის წინაშე დგება. ადამიანს ყველაზე სანდო და საიმედო ადგილად ოჯახი მიაჩნიათ და როდესაც ოჯახში ძალადობას ექნება ადგილი, ეს იმედების გაცრუებას და ყოველმხრივ დათრგუნვას იწვევს. ადამიანი კარგად ნდობას ყველას მიმართ, რის შედეგადაც ოჯახში წარმოშობილი ძალადობა საზოგადოებაში ნეგატიურ შედეგებს ბადებს. გარდა ამისა, ოჯახური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლი მოზარდებისგან ბედნიერი ოჯახის შექმნის ალბათობა გაცილებით ნაკლებია.

თუ ოჯახში ერთი მეუღლე მეორეზე სისტემატიურად ძალადობს და ეს ოჯახი არ ინგრევა, ამის ორი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. პირველი: ძალადობის მსხვერპლი მხარე იძულებულია დარჩეს ოჯახში, რადგან მას დამოუკიდებლად თავის გატანა არ შეუძლია. ეს არის მისთვის გა-

მოუვალი მდგომარეობა. ამგვარი მდგომარეობა კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად უნდა იქნას განხილული. მეორე: ძალადობის მსხვერპლი ფიქრობს, რომ ოჯახის დანგრევით ბავშვებს ზიანს მიაყენებს და ეს მათ მომავალზე უარყოფითად აისახება, ამიტომ ის იტანს ამ ძალადობას და ოჯახს ინარჩუნებს. განხილულ ორივე შემთხვევაში ოჯახის ერთად შემაკავებელი არა სიყვარული, არამედ სხვა რამაა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ძალადობის შემთხვევაში ოჯახის შენარჩუნების მიზეზი შეიძლება იყოს სიყვარულიც. მაგალითად ძალადობის მსხვერპლ მეუღლეს შეიძლება უყვარდეს მოძალადე მეორე ნახევარი და ამის გამო იტანდეს, მაგრამ ეს სიყვარული ცალმხრივი იქნება და როდემდე გასტანს არავინ იცის.

როდესაც ოჯახში მეუღლეებს შორის სიყვარული აღარ იქნება, ეს უკვე განქორწინების დასაწყისია. უსიყვარულობა და ძალადობა ოჯახის ძირითადი მტრებია.

ოჯახური მოვალეობები

“თქვენს შორის ყველაზე სასარგებლო ისაა, ვინც ოჯახისთვისაა სასარგებლო“.

ოჯახს, ზოგადად დედა, მამა და ბავშვები წარმოადგენენ. ოჯახის ყველა წევრის სიმშვიდისა და ბედნიერებისათვის კი საჭიროა ოჯახის ყველა წევრმა საკუთარი მოვალეობა იცოდეს და ამ მოვალეობას კარგად ასრულებდეს.

ოჯახში არსებული უფლება-მოვალეობების შესახებ საუბარია როგორც ყურანში, ისე შუამავლის ჰადისებშიც.

„გაცილებული ქალები თავს იკავებენ (ხელმეორედ დასაქორწინებლად) სამ ქალთა წესს. თუ სწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ნება არ აქვთ დამალონ, რაც ალლაჰმა გაუჩინა მათ საშვილოსნოებში. ხოლო მათი ქმრები უფრო ღირსეული არიან ამ დროს დაიბრუნონ ისინი, თუკი სურთ შერიგება. და ქალებს აქვთ იგივე უფლებები, რა უფლებებიც მათზე (ქმრებს) აქვთ კანონის ფარგლებში. ოღონდ ქმრები მათზე მაღლა არიან ერთი საფეხურით. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.“ (ბაყარა 228)

“მამაკაცებო, როგორც თქვენს გაქვთ ქალთა მიმართ უფლებები, ისე მათაც აქვთ თქვენს მიმართ უფლებები.“ (თირმიზი, თეფსირ, 10)

ოჯახში არსებული უფლება მოვალეობები შემდეგ ოთხ ჯგუფად იყოფა: მეუღლეებს შორის არსებული უფლება-მოვალეობე-

ბი, მშობლების შვილების წინაშე არსებული უფლება-მოვალეობები, შვილების მშობლების წინაშე არსებული უფლება-მოვალეობები და შვილების ერთიმეორის წინაშე არსებული უფლება-მოვალეობები.

მეუღლეების უფლება-მოვალეობები ერთმანეთის მიმართ

ოჯახში მამაკაცის უპირველესი მოვალეობა ოჯახის წევრების პატიოსანი სარჩოთი გამოკვებაა. დასაქორწინებელი მამაკაცი უნდა აკმაყოფილებდეს პირობას, რომელიც მისი და მისი მეუღლის რჩენის შესაძლებლობას გულისხმობს. მამაკაცს, რომელსაც ოჯახის რჩენის შესაძლებლობა არ გააჩნია, მის მიერ ოჯახის შექმნა შესაძლო პრობლემებს მოიტანს. წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ ოჯახის რჩენისთვის დახარჯული ფული სიკეთეში დახარჯული მადლიანი ფულიაო. ფულის დახარჯვისას მიუღებელია როგორც ზედმეტი სიძუნწე ისე უყაირათოდ ხარჯვა. გარდა ამისა, მამაკაცი ქალს უხეშად არ უნდა მოექცეს და არცერთო ფორმით არ უნდა დაუშვას ძალადობა.

ქალი ოჯახის ძირითადი შემოქმედია. ქალი ვალდებულია მთელი თავისი უნარი და ცოდნა ოჯახს მოახმაროს, ოჯახის ერთია-

ნობისა და წარმატებისთვის იზრუნოს და ოჯახის ლეგიტიმური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მიაქციოს ყურადღება.

„ქალი, რომელიც ხუთი დროის ნამაზს აღასრულებს, დაიცავს მარხვას, დაიცავს ღირსებას და ქმარს პატივს სცემს, სამოთხეში მისთვის სასურველი კარებიდან შევა“. (აჰმედ იბნ ჰანბელი. მუსნედ 1)

ოჯახური თანაცხოვრების წარმართვა ურთიერთგაგებითა და შემწყნარებლობითაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ოჯახში მოვალეობების მკაცრი განსაზღვრა მთლად სწორი არ იქნება. მაგალითად, თუ ქმარს ისეთ მდგომარეობა შეექმნა, რომ ოჯახის რჩენა არ შეუძლია, მაშინ ცოლის მხრიდან მუშობა და ოჯახის რჩენის საქმეში წვლილის შეტანა გამოუვალი მდგომარეობაა.

ოჯახში საქმის გადანაწილება და იმის განსაზღვრა თუ რა გააკეთოს ქმარმა და რა-ცოლმა, რელიგიურზე მეტად კულტურული პასუხისმგებლობაა. ეს იმიტომ, რომ სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში, კლიმატისა და პირობების მიხედვით ქალებსა და კაცებს შორის საქმის გადანაწილება სხვადასხვაგვარია და ეს უმეტესწილად დამოკიდებულია კლიმატზე, წარმოების პირობებსა და კულტურულ ღირებულებებზე. შრომა, შესაძლებლობების მიხედვით ყველას მოვალეობაა. ამ მოვალეობის შესრულებისას ძირითადი განმსაზღვრელი სქესი არ გახლავთ.

ოჯახში ქალსა და კაცს შორის საქმის გადანაწილება, უმეტესწილად ისტორიული და კულტურული ფაქტორების გათვალსიწინებით ხდება. ახალდაბადებული ბავშვი როგორც წესი დედის რძით იზრდება, რამაც საფუძველი დაუდო იმ აზრის ჩამოყალიბებას, რომ საოჯახო საქმეები „საქალო“ საქმედ დაწესდა, ხოლო საგარეო საქმიანობას მამაკაცი წარმართავს. ამგვარი განსაზღვრება სოციალური და ეკონომიური განვითარების კვალდაკვალ იცვლება.

მეუღლეებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა და მოვალეობა ურთიერთსიყვარულისა და პატივისცე-

მის ჩვენება და ერთიმეორის ნაკლოვანებების დაფარვაა.

მშობლების მოვალეობები და პასუხისმგებლობა შვილების წინაშე

ბავშვის დაბადების შემდეგ მშობლების პირველი მოვალეობა მისთვის შესაფერისი და ლამაზი სახელის დარქმევაა. ამის შემდეგ, შესაძლებლობის ფარგლებში ბავშვის კარგი კვება, ჩაცმა-დახურვა, აღზრდა, სამართლიანად მოქცევა, კარგი განათლების მიცემა, პროფესიის შეძენაში დახმარება, დაქორწინება და სხვა მსგავსი მოვალეობები მოდის.

ამ ჩამონათვალთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვის კარგი აღზრდაა. წმ. შუამავალი ბრძანებდა: „ვერცერთი მამა თავის შვილს კარგ აღზრდაზე უკეთესს ვერაფერს მისცემს.“ (თირმიზი,„ბირრ“ 33) კარგი აღზრისათვის კი კარგი მაგალითია საჭირო. ბავშვის აღზრდის პროცესში მხოლოდ დატუქსვა არ არის ეფექტური. მშობელი მისთვის კარგი მაგალითი უნდა იყოს. ბავშვებს რჩევა-დარიგებებზე მეტად კარგი მაგალითები სჭირდებათ. ამიტომ მშობლები სხვებთან მოქცევისას სიკეთით და შემწყნარებლობით უნდა გამოირ-

ჩეოდნენ და როცა ამას ბავშვი ნახავს კარგ მაგალითს აიღებს. მაგალითად, თუ მშბელი შვილს უხსნის, რომ ჭორაობა ცუდია და არ გააკეთოო და ამავდროულად თვითონ ჭორაობს, მისი გაფრთხილება შედეგს ვერ გამოიღებს. პირიქით, შეიძლება ცუდი საქციელის პროვოცირებას შეუწყოს ხელი. ამგვარი ქცევის შედეგად ბავშვი ორპირობასა და ფარისევლობას ისწავლის.

გარდა ამისა, რადგან ბავშვი მშობლებს, როგორც მაგალითებს ისე უყურებს, დედობას და მამობას უპირველეს ყოვლისა სწორედ მათგან სწავლობს.

აბდულ�ააჰ იბნ ამრის მონაყოლის მიხედვით, ერთხელ წმ. შუამავალი, როცა აბდულლაჰი პატარა იყო, მათ ოჯახში ყოფილა სტუმრად. თურმე პატარა აბდულლაჰს დედამ დაუძახა და უთხრა, მოდი აქ რაღაც უნდა მოგცეო. წმ. შუამავალს უკითხავს, რა უნდა მისცეო. ხურმა უნდა მივცეო, მიუგო თურმე აბდულლაჰის დედამ. ბავშვი რომ მოატყუო და შეპირებული არ მოსცე ეს ტყუილი იქნება და ცოდვა დაგედებაო, უბრძანებია შუამავალს.

ეს შემთხვევა მშობლებისთვის კარგი მაგალითია. მშბლებმა შილებს ისეთი რამ არ უნდა შეპირდნენ, რასაც ვერ შეუსრულებენ. ერთის მხრივ ეს იქნება ტყუილი და შესაბამისად ცოდვა, ხოლო მეორეს მხრივ ბავშ-

ვისთვის ცუდი მაგალითი იქნება და ბავშვი ტყუილს მიეჩვევა.

ბავშვი ოჯახში ღმერთის მიერ ბოძებული ამანათია. მშობელმა ისე არ უნდა იფიქროს, რომ თითქოს ბავშვი მისი ქონება იყოს და არც შესაბამისად არ უნდა მოექცეს. ბავშვის კარგი აღზრდა მშობლის პიროვნულ არჩევანზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. თუ მშობელი ბავშვზე ცუდ ზეგავლენას ახდენს, მოსალოდნელია ბავშვის ზნეობრივი და ფსიქოლოგიური გაუკუღმართება და შესაბამისად საზოგადოებისთვის უსარგებლო და საფრთხის შემცველ პიროვნებად ჩამოყალიბება, იბადება ლეგიტიმური აუცილებლობა იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში ბავშვი მშობელს ჩამოშორდეს და სხვა, უკეთეს გარემოში აღიზარდოს. ამიტომ, ამანათის დაცვა და გაფრთხილება ძალიან მნიშნელოვანია. ბავშვები ოჯახში მშვიდ და დაცულ გარემოში უნდა იზრდებოდნენ. ეს გარემო კი მშობლებმა უნდა შექმნან.

შვილებისთვის ბედნიერი ოჯახური გარემოს შექმნა მშობლების ყველაზე ძირითადი მოვალეობაა. ბედნიერი ოჯახური გარემო ბავშვის პიროვნული განვითარებისა და კარგი აღზრდისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ურთიერთსიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით სავსე ოჯახურ გარემოში ბავშვი თავს მშვიდად და ბედნიერად

გრძნობს. ასეთ გარემოში ბავშვის გულიც სიყვარულითა და გულმოწყალებით ივსება.

მშობლები ბავშვების მიმართ მოვალეობების ღირსეულად მოხდის შემთხვევაში, ერთის მხრივ ვალდებულებას ასრულებენ, ხოლო მეორეს მხრივ საკუთარი თავისთვისაც სიკეთეს აკეთებენ. ამ მოვალეობის ღირსეულად შესრულებისთვის, ყველაფერი სიკეთედ დაუბრუნდებათ, როგორც ამქვეყნად, ისე საიქიოში.

ბავშვების პასუხისმგებლობა მშობლების მიმართ

წმ. ყურანში, სურა ლუყმანის მე-14 აიათში ნაბრძანებია: „და ვუანდერძეთ ადამიანს მისი მშობლები. ატარა დედამ თავისმა, გაჭირვება-გაჭირვებით და მისი ძუძუდან მოწყვეტა ორ წლამდე გრძელდება. მე შემწირე მადლობა და შენს მშობლებს, რამეთუ ჩემთანაა მოსაქციელი!“

ბავშვების მოვალეობა მშობლების მიმართ, უპირველეს ყოვლისა მათდამი კარგად მოპყრობით განისაზღვრება. წმ. შუამავალი ბრძანებდა: „ყველაზე სასარგებლო საქმე თავის დროზე შესრულებული ნამაზი, ხოლო ამის შემდეგ მშობლებისადმი კარგი მოპყრობაა.“

შვილების მოვალეობაა დაემორჩილონ მშობლების ნებას, თუ ეს ღმერთის ნებასთან წინააღმდეგობაში არ მოდის. ამ მხრივ ყურანში მოცემული გზავნილები საკმაოდ ნათელი და გასაგებია:

1. „და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემდე, არ უთხრა: „უჰ!“ და არ გაუწყრე მათ და ლამაზი სიტყვა უთხარი!

2. და ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე ლმობიერებითა და თავმდაბლობით და თქ-

ვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც გამზარდეს, ისე შეიწყალე ესენი!

3. თქვენმა ღმერთმა ყველაზე უკეთ იცის, რა გიზით თქვენ სულში. თუკი იქნებით კეთილისმქმნელნი , მაშინ, უეჭველად, შემნდობია იგი მომნანიეთა! (ისრა 23-24-25)

ბავშვების მოვალეობები ერთმანეთის მიმართ

ბავშვებს, გარდა მშობლებისა, ერთიმეორის მიმართაც გარკვეული ვალდებულებები გააჩნიათ. და-ძმები ერთმანეთთან ურთიერთობისას ჰარმონიულ დამოკიდებულებაში უნდა იყვნენ. უფროსმა უმცროსს ყურადღებით და მზრუნველობით უნდა მოეკიდოს, ხოლო უმცროსი ვალდებულია უფროსს პატივი სცეს და დაუჯეროს. ბავშვების ინტერესები, უნარები და სხვა თვისებები განსხვავებული შეიძლება იყოს. ამიტომ მათ შორის არ უნდა შეიქმნას ისეთი მდგომარეობა და პირობები, რომ ერთმანეთის შეშურდეთ.

ოჯახში ურთიერთობისას, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილებისას გაკეთებული ყველა ამაგის სამაგიერო ჯილდო მხოლოდ ღმერთსგან უნდა მოვილოდინოთ.

ბედნიერი ოჯახის ჩამოყალიბებისათვის რა უნდა ვთქვიდეს და რა არ უნდა ვთქვიდეს?

მოთმინების ვამოჩენა და შეშფოთებლობა აუცილებელია.

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად ებუ მუსლიმს კითხეს, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ ოჯახურ ბედნიერებას? ებუ მუსლიმის პასუხი კი შემდეგია: „ოჯახში, როცა ქმარი გაბრაზდება ცოლმა უნდა იყუჩოს და არ შეეპასუხოს. როცა ცოლია გაბრაზებული ქმარი უნდა გაჩუმდეს და ჩუმად დაელოდოს. ადამიანი გაბრაზებისას გიჟს ემსგავსება. გაგიჟებულ ადამიანზე შეპასუხება არ შეიძლება. წყნარად უნდა დაველოდოთ მის დამშვიდებას. ოჯახური ბედნიერება ასე მიიღწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოუვალ მდგომარეობას მივიღებთ.“

გაბრაზებისას ნათქვამი სიტყვა ძალიან გულსატკენი შეიძლება იყოს. ამ დროს ადამიანი ისეთ რამეს იტყვის ხოლმე, რასაც შემდგომში ინანებს. მეუღლეებმა ამგვარ სიტუაციაში დიდი ყურადღება და ურთიერთგაგება უნდა გამოიჩინონ. ასეთი მოქცევა მოსალოდნელ გართულებებს თავიდან აგვარიდებს.

ხშირია შემთხვევა, როცა ორი ძმის გემოვნება, შეხედულებები და აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა. ქორწინებისას კი ორი სხვადასხვა სქესის და სავარაუდოდ

განსხვავებული გემოვნების ადამიანი იწ-ყებს ერთად ცხოვრებას. წყვილები ქორწი-ნებამდე რაცარუნდა გაცნიბილ-შეჩვეულ-ნი იყონ ერთმანეთთან, ქორწინების შემდეგ უფრო სიღმისეულად გაიცნობენ ერთმა-ნეთს. ერთიმეორის ასე სიღრმისეულად გა-ცნობის შემდეგ შესაძლოა ისეთი დამოკი-დებულებები და მიმართლებები წარმოიქმ-ნას, რაც წყვილის ურთერთობას და ერთად ყოფნას საფრთხის ქვეშ დააყენებს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში წყვილი არ უნდა აჩქარ-დეს და ნაადრევი გადაწყვეტილებები არ მიიღოს. ასეთ დროს საჭიროა მოთმინება გამოიჩინონ და შეძლებისდაგვარად გაგე-ბით მოეკიდონ. წმ. შუამავალი ბრძანებდა: „მორწმუნე ქმარი მორწმუნე ცოლის ისეთი ხასიათს გამოვლინებაზე, რომელიც მას არ მოსწონს არ უნდა გაბრაზდეს, რადგან თუ მეუღლის ერთი თვისება არ მოსწონს, სხვა თვისება მოეწონება“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურანშ ნაბრძანებია შემდეგი:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ნება-დართული არა გაქვთ, ძალით აიღოთ მემკ-ვიდრეობაში ქალები . ან შეავიწროოთ იმი-სათვის, რომ წაართვათ, რაც მიგიციათ მათ-თვის, გარდა თუ არ ჩაუდენიათ მათ აშკარა მრუშობა. მოეპყარით მათ ღირსეულად. თუ თქვენ ისინი გძულთ, იქნებ გძულდეთ რა-

მე, ალლაჰს კი დიდი სიკეთე ჩაედოს მასში!“ (ნისა 4/19)

ეს ეხება როგორც კაცებს ისე ქალებსაც. მოთმინების შემთხვევაში მეუღლის ის თვისება დროთა განმავლობაში შეიცვლება და შესაძლოა ისეთნაირად ჩამოყალიბდეს, რომელიც მოგვეწონება. გამომდინარე აქედან, ქორწინების დროს მოთმინება აუცილებელი პირობაა.

ბედნიერი ოჯახის შენარჩუნებისათვის ქმარმაც და ცოლმაც უნდა იცოდნენ, რომ ერთიმეორეს კარგად მოეპყრონ და ამასთანავე ერთიმეორის წყენისგან მაქსიმალურად თავი შეიკავონ. გარდა ამისა, წყვილებს ერთიმეორის ნაკლოვანი მხარეების გარდა სხვა პრობლემებიც შეიძლება შეხვდეთ, ისეთი, როგორიცაა გაჭირვება, ავადმყოფობა და სხვა სიძნელეები და ეს ყველაფერი მათ ერთად უნდა გადალახონ. ეს მეუღლეობის, თანაცხოვრების შედეგად წარმოშობილი აუცილებლობაა.

ნაოლოიანებები აღმოჩენა და ანა დაუანოეა ზნაშენელოიანი

ყველა ლაშაზს აქვს თავისი ნაოლი

წმ. ყურანში მეუღლეების შესახებ ნაბრძანებია:

„ნებადართული იქმნა თქვენთვის მარხვის დროს ღამით ცოლებთან თანაცხოვრება, ისინი სამოსელია თქვენი და თქვენ ხართ სამოსელი მათი. ალლაჰმა იცოდა, რომ თავს იწვალებდით, ამიტომაც მიიღო თქვენი სინანული და მოგიტევათ. ახლა შეგიძლიათ თანაეცხოვროთ მათ და ეძიოთ, რაც ალლაჰმა დაგიწესათ. (ბაყარა 2/187)

როგორც ზევით იყო აღნიშნული ტანისამოსი მხოლოდ კი არ იცავს სხეულს, არამედ ფარავს კიდეც. გამომდიარე აქედან მეუღლეები ერთიმეორეს უნდა იფარავდნენ. ეს მფარველობა უნდა გრძელდებოდეს როგორც ოჯახის შიგნით, ისე გარეთაც. ადამიანი უნაკლოდ არ არსებობს. ქალიც და კაციც ერთიმეორის ნაკლოვანებების ძებნას არ უნდა ცდილობდნენ და რამდენადაც შეეძლებათ ერთიმეორის ნაკლის დაფარვა და გაგება უნდა სცადონ. ადამიანს შეიძლება სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები ჰქონდეს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო წარმოიქმნება. მაგალითად გენეტიკური, კულტურული სხვადასხვაობის შედეგად წარმოქმნილი და სხვა. ამათგან ზოგის გამოსწორება საუბრით და სწავლებით შეიძლება. გამოუსწორებელი ნაკლი თუ დიდ პრობლემებს არ ქმნის ის უნდა დავფაროთ და მოთმინებით მივუდგეთ.

მეუღლეებმა ერთიმეორის ნაკლოვანებები კი არ უნდა ეძებონ, დადებითი მხარეები უნდა მოძებნონ, აღმოაჩინონ და მეუღლეს მათ განვითარებაში დაეხმარონ. მეუღლეებმა შეიძლება იკამათონ, მაგრამ მათი კამათი კონსტრუქციული უნდა იყოს და არა დესტრუქციული.

ზოგჯერ ნაკლი შეიძლება მოდიოდეს არა მეუღლის, არამედ მისი ოჯახის ან ახლობლებისგან. ასეთ შემთხვევებში სასურველია პრობლემის უმტკივნეულოდ მოგვარება, მაგრამ თუ არ გვარდება, პრობლემა ოჯახის შიგნით არ უნდა გავრცელდეს. ამ დროს დაუშვებელია მეუღლეებმა ერთიმეორეს დააყვედრონ და ერთიმეორეს შორი უთანხმოება გამოიწვიონ.

პასუხისმგებლობის მატარებელი, გამგებიანი და შემწყნარებელი ადამიანები ისე არ მოიქცევიან, რომ მეუღლის ნაკლი ეძებონ და დადებითი მხარეები არ დაინახონ. ასეთი ადამიანების მიერ შექმნილი ოჯახი დიდი ალბათობით ბედნიერი იქნება.

ურთიერთობაში ეგოისტურად არ უნდა მოიქცეთ

წარმოვიდგინოთ დანადგარი, რომელიც კბილანური გადაცემის ბრუნვის შედეგად მუშაობს. ამგვარი დანადგარის მუშაობისთ-

ვის აუცილებელია კბილანები ერთმანეთთან შეხამებული იყოს. რომლეიმე კბილი, თავის ჩასაჯდომ ბუდეზე დიდი რომ აღმოჩნდეს, დანადგარის მუშაობა შეფერხდება და შეიძლება გაფუჭდეს კიდეც. ბრუნვის უზრუნველსაყოფად ან კბილი უნდა დავაპატარავოთ ან კიდე ბუდე გავადიდოთ.

აღნიშნულ დანადგარზე ოჯახის და კერძოდ ქორწინაში მყოფი წყვილის ურთიერთობის შედარება საკმაოდ მოსახერხებელია. ქორწინებაში მყოფი წყვილების ხასიათი და თვისებები ერთმანეთთან შედარებით მეტ-ნაკლებად განსხვავებული შეიძლება იყოს და ასეთ შემთხვევაში, ოჯახის ფუნქციონირების გასაგრძელებლად ამ განსხვავებების მინიმუმამდე დაყვანა და ერთმანეთთან შეხამება აუცილებელია. ერთ

ოჯახში გაზრდილი, ერთი და იგივე მშობლების შვილები, თანაბარი პირობების და შესაძლებლობების გარემოში მყოფი ძმები, ხშირად განსხვავებულ თვისებებსა და უნარებს ავლენენ. ხშირია შემთხვევა, როცა ძმები ერთ საქმეს ერთად ვერ აკეთებენ და ერთმანეთს ვერ ეწყობიან. გამომდინარე აქედან, სხვადასხვა ოჯახში გაზრდილი, ორი სხვადასხვა სქესის, შესაძლოა განსხვავებული კულტურისა და მენტალიტეტის მქონე ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე თანაცხოვრება და ყოველდღიური ურთიერთობა გარკვეულ წინააღმდეგობებს და შეუთავსებლობებს წარმოშობს.

თუ ოჯახში მეუღლეებიდან ერთ-ერთი ამბობს: „მე ასეთი ვარ და თუ გინდა მიმიღე“, ხოლო მეორე პასუხობს: „მე ასეთი არ

მინდიხარ, გახდი ისეთი,როგორიც მე მინდა“, ასეთ ოჯახში ბედნიერების და ჰარმონიის მიღწევა უკიდურესად გაძნელდება. სასურველია წყვილმა ერთმანეთს გაგებას შეეცადოს და ერთმა მეორის ადგილას წარმოიდგინოს თავი. რომელიმე მეუღლემ ეგოისტურად მხოლოდ საკუთარ ნება-სურვილზე კი არ უნდა იფიქროს, მეუღლის სურვილებიც უნდა გაითვალისწინოს. თუ წყვილი ამას მოახერხებს, ოჯახში ჰარმონია და სიმშვიდე დაისადგურებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი ცალმხრივი იქნება და ოჯახურ თანაცხოვრებას საფრთხე შეექმნება. ოჯახში მხოლოდ ერთი მხარისგან ატანის და გაგების მოთხოვნა ორივე მხარეს პრობლემებს შეუქმნის. დაჩაგრულ მხარეს შესაძლოა ფსიქოლოგიური და ასევე ფიზიოლოგიური პრობლემები შეექმნას. მჩაგვრელ მხარეს კი ეგოიზმი ძვალსა და

რბილში გაუჯდება და ამგვარი „უძღები შვილის“ სინდრომით შეპყრობილი ირგვლივმყოფებისათვისაც აუტანელი გახდება.

გარდა ამისა, მუდმივად ერთი და იგივე მხრიდან მსხვერპლის გაღება აღნიშნულ მხარეს დააუძლურებს და შესაბამისად, ერთ მშვენიერ დღეს მისგან მოსათხოვი აღარაფერი დარჩება. ქორწინებაში მყოფმა წყ-

ვილმა ამგვარ მდგომარეობაში ერთიმეორე არ უნდა ჩააგდონ.

უპირატესობა ორსებულს უნდა მიენიჭოს და ორი ორთბსებულს

მოთხოვნილებები უსაზღვროაო ამბობენ. მართლაც რომ ასეა, რადგან მოთხოვნილებების ზღვარის დადგენა რთულია. ქუჩაში მცხოვრები ადამიანის მოთხოვნილება თავშესაფრის მიგნებაა. დაბალი შემოსავლის და ქირით მაცხოვრები ადამიანი მოთხოვნილება კი საკუთარი სახლის შეძენაა. სახლის ვისაც აქვს აგარაკზე ოცნებობს და ა.შ. მოკლედ მოთხოვნილების ჯაჭვი თითქმის უსასრულობამდე შეიძლება გაგრძელდეს. მოთხოვნილებები ადამიანის ბუნებაზეცაა დამოკიდებული. ისეთი რა, რაც გუშინ მოთხოვნა იყო, დღეს ჩვეულებრივ ყოველდღიურობად და ჩვევად გადაიქცევა ხოლმე. ასევე შეიძლება, რომ გუშინ წარმოუდგენელი რამ, დღეს მოთხოვნად გვექცეს. ისეთი ზღვრის დაწესება, რომელიც ყველა ადამიანის მოთხოვნილების ზღვარს განსაზღვრავს, ძალიან რთულია. მოთხოვნილებები დამოკიდებულია ადამიანის პიროვნებაზე, კულტურასა და დროზე, ამიტომ მუდმივად ცვალებადია.

მოთხოვნილებების შესრულება შესაძლებობების მიხედვითაა განსაზღვრული. ზოგჯერ მოთხოვნილებებს სწორედაც რომ შესაძლებლობები ბადებს. შესაძლებლობა გაჩნდება თუ არა, ადამიანი კონკრეტული რაიმის მიღების მოთხოვნილებას იგრძნობს. საბოლოო ჯამში უმჯობესია მოთხოვნილებები შესაძლებლობების მიხედვით განვსაზღვროთ, რათა აუსრულებელი მოთხოვნილებების გამო უბედურად არ ვიგრძნოთ თავი. ხელშ რაც გვაქვს მისით კმაყოფილების ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია.

გამომდინარე აქედან რაც გაგვაჩნია იმის მადლიერნი უნდა ვიყოთ და რაც არ გვაქვს იმის გამო არ უნდა ვიდარდოთ. ქონა-არქონის საკითხში საჭიროა იმ ადამიანებზე შეხედვა, რომლებსაც უფრო ნაკლები შემოსავლები გააჩნიათ და შესაბამისად მადლიერების გამოხატვა იმისათვის რაც გვაქვს. რაც არ გვაქვს, ის, ჩვენი უბედურების მიზეზი არ უნდა გახდეს. რაც არ გვაქვს და გვჭირდება მის მოსაპოვებლად შრომა და მცდელობაა საჭირო. ამგვარი სურვილების და მოთხოვნილებების ასასრულებლად აუცილებლად ლეგიტიმური და პატიოსანი გზები უნდა ვეძებოთ. ყველა გაჭირვება და განსაცდელი კი ისე უნდა მივიღოთ, როგორც გამოცდა.

გარდა ამისა, აუცილებელია ერთმანეთისგან განვავსხვავოთ მოთხოვნილებები და ფუფუნება. რეკლამამ და მოდამ შესაძლოა ფუფუნების სურვილები გააღვივოს და ზედმეტი დანახარჯებისკენ გვიბიძგოს. ამგვარი ტენდენცია ადამიანს გაუმაძღრობისკენ უბიძგებს და თანაც მოსალოდნელია გამდიდრების იოლი და არალეგიტიმური გზა აირჩიოს.

სიყვარული და ხასიათმოქნილი სიცოცხლე

ლამაზი და მგრძნობიარე სიტყვები ყველას სიამოვნებს. ტკბილი სიტყვა და ისიყვარულის გამოხატვა ყველას სჭირდება. ყოველ ადამიანში არის ბავშვი,რომელიც სითბოსა და სიყვარულს ითხოვს. ეს ყველას მოთხოვნილებაა. სხეული ბედრება, მაგრამ სული არ ბერდება. ამიტომ ადამიანში მუდმივად არის ბავშვი. სიყვარული და მზრუნველობა როგორც პატარა ბავშვს,ისე სჭირდება ყველას.

ქორწინებაში მყოფმა წყვილებმა, სასურველია მუდამ ტკბილი სიტყვით და სიყვარულით მიმართონ ერთმანეთს. ხშირად უნდა შეაქონ ერთმანეთი და კომპლიმენტები არ დაიშურონ. მეუღლეებმა ერთმანეთს კარგი საქმეები უნდა შეუქონ და უმადურობა არ გამოიჩინონ. ამგვარი ქცევა მეუღლე-

ებს სიკეთის კეთებისკენ წააქეზებს. ორივე მხარე შეეცდება, რომ უფრო და უფრო კარგად მოიქცეს. ამგვარად წყვილს შორის ურთიერთობა უფრო თბილი და სასიამოვნო გახდება.

ცოლ-ქმრის კარგ დამოკიდებულებასა და ტკბილი ქცევის შესახებ წმ. შუამავალი ბრძანებდა: „ცოლ-ქმარმა ერთმანეთს ლუკმა რომ მიაწოდონ ესეც მოწყალებაა.“

სიყვარულის გამოხატვა და სასიამოვნო სიტყვების თქმა არამარტო მეუღლეებს შორის არის სასურველი, არამედ მშობლებსა და შვილებს შორისაც. ბავშის კარგი ქცევა შექებით უნდა შეფასდეს. ამით ბავში იგრძნობს, რომ ის მშობლებისა და ოჯახისთვის ძვირფასია და მისი კარგი ქცევა ოჯახის წევრებს აბედნიერებს. ამგვარ გარემოში გაზრდილი ბავშვი შეეცდება მუდმივად კარგად მოიქცეს და მერეც, როცა თვითონ გახდება მშობელი ოჯახში ამგვარ დამოკიდებულებას შეინარჩუნებს.

„სიყვარული; მწარეს ტკბილად აქცევს, მიწას ოქროდ, ავადმყოფობას სიჯანსაღედ, ციხეს სასახლედ, უბედურებას ბედნიერებად, სამარეს წყალობად აქცევს. სიყვარულია, რომელიც რკინას ადნობს და ქვას ალღვობს“. (მევლანა)

მეუღლის ოჯახის პატივი უნდა ვცეთ

ვისაც ვაინდი უყვართს ქალის სიძნაირეც უნდა აიკანოს

ქორწინებაში ყოფნისას მეუღლეებმა არ უნდა ჩათვალონ, რომ მხოლოდ მეუღლე მისი ცხოვრების მეგზური და მისი ოჯახი არაფერს წარმოადგენს. მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს. ზოგჯერ სერიოზული მიზეზის გამო, ზოგჯერაც უმიზეზოდ მეუღლის ოჯახთან პრობლემების შექმნა ხშირი მოვლენაა. არის შემტხვევები, როცა მხარეებს მეუღლის ოჯახი არათუ არ სიამოვნებთ, არამედ სძულთ და ვერ იტანენ.

რაცარუნდა სამართლიანი იყოს, მეუღლის ოჯახის მისამართით ნათქვამი ცუდი სიტყვა მეუღლეს მწარედ ხვდება გულზე და არასოდეს ავიწყდება. ამგვარად ნათქვამ ცუდ სიტყვას მეუღლე, როგორც წესი იმახსოვრებს და შესაბამის დროს მთქმელს დაუყვედრებს ხოლმე.

ამიტომ, ქორწინებაში მყოფი წყვილი შემდეგნაირად უნდა მოიქცეს: პირველი, მეუღლის ოჯახს ისე უნდა მოექცეს, როგორც მას სურს, რომ მის ოჯახს მეუღლემ მოექცეს. მეორე: სიძე იქნება თუ რძალი უნდა დაფიქრდეს, რომ ერთ დღეს ისინიც გახდებებიან სიმამრი, სიდედრი, მამამთილი, დედამთილი და ა.შ. ამიტომ როგორ მოქცე-

ვასაც ისურვებენ მაშინ, ისე უნდა მოექცნენ სხვებს ახლა.

უნდა იყოს „ჩვენ“ და არა „ჩემ“

ყველა ერთისათვის, ერთი ყველასთვის.

ოჯახში ურთიერთობის სიჯანსაღისათვის მნიშვნელოვანია ეგოისტური დამოკიდებულების უგულებელყოფა და მის მაგივრად ზემოთ წარმოდგენილი დამოკიდებულების დამკვიდრება: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის.“ ურთიერთობას, რომ-

ლის საფუძველი არის „მე“ და „შენ“ და არა „ჩვენ, შეუძლია მხოლოდ უბედურების მოტანა და არა ბედნიერების.

ოჯახი, ეს არის გარემო, სადაც მშობლები და შილები ერთად ცხოვრობენ. ამ გარემოში „მე“ უნდა შემცირდეს და „ჩვენ“ უნდა გახშირდეს. ცოლ-ქმარს შორის თუ დაიწყება ისეთი მიდგომები, როგორიცაა: მე გავაკეთე, მე გამოვიმუშავე, ჩემი სახლი, ჩემი მანქანა, ჩემი, მე მეკუთვნის და მსგავსი სხვა, ასეთ ოჯახში სიმშიდე და ბედნიერება ძნელად დაისადგურებს. ცოლისა და ქმრის შემოსავალი ოჯახის საერთო შემოსავალია. ამ შემოსავლებიდან ყველას მოტხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს. უპირატესობა კი აუცილებლობის ხარისხის მიხედვით, ოჯახური დიალოგის გზით უნდა გადაწყდეს. დაუშვებელია ისეთი ტიპის ხარჯვა, რომელიც უსამართლობის შეგრძნებებს აღძრავს.

ოჯახის შემოსავლები ყველასთვის ღია უნდა იყოს და რომელიმე მხარემ შემოსავლების ნაწილის გადამალვა არ უნდა იკადროს. გარდა ამისა, მეუღლეებმა ერთიმეორის ხარჯები მუდმივად არ უნდა აკონტროლონ, რათა არ აიძულონ ერთმანეთი ზოგი რამ ფარულად შეიძინონ. თუ მეუღლის ყოველ დანახარჯს გამოიკითხავ და საყვედურებით აავსებ, ისიც იძულებული გახდება

ზოგი რამ დაგიმალოს. თუ ხარჯვა ზღვარს არ გადადის გაგებით უნდა მოვეკიდოთ და ამასთანავე ქალისა და მამაკაცის ხარჯვის თავისებურებები უნდა გავითვალისწინოთ.

ქორწინებაში „ჩვენ“ ელემენტის გათვალისწინება გულისხმობს შეთანხმებულ ქმედებას, როცა მეუღლეები ერთმეორის აზრებს და მოთხოვნილებებს ითვალისწინებენ და მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ არ მოქმედებენ. ერთიანი აზრი და მოქმედება ორივე მხარეს საკუთარ მნიშნელობას დაანახებს და ამასთანავე უფრო სასარგებლო მიმართულებების წარმოჩინებას შეუწყობს ხელს.

ოჯახში სურვილების და მოტხოვნილებების დაკმაყოფილება ცალმხრივი არ უნდა იყოს. მაგალითად, ვახშმის მომზადებისას მუდმივად ერთი მხარის გემოვნების და სურვილების გათვალისწინება არასწორია. ან თუნდაც დასასვენებლად წასვლისას ორივე მხარის სურვილი და აზრი უნდა იქნას გათვალისწინებული. თუ ყველა მოთხოვნის ერთდროულად შესრულების შესაძლებლობა არ არსებობს, მაშინ რიგრიგობით უნდა შესრულდეს. მაგალითისთვის ისევ დასვენების თემას მოვიშველიებთ. თუ ერთ მხარეს ზღვაზე უნდა წასვლა, ხოლო მეორე მხარეს მთაში, ასეთ შემთხვევაში შეუძლიათ ერთ ჯერზე ზღვაზე, ხოლო

მეორე წელს მთაში წავიდნენ. ამგვარი მიდგომა ცხოვრების ყველა სფეროში უნდა განხორციელდეს.

ურთიერთობა ღია უნდა იყოს

ურთიერთშორის ყოდლება ეს ან ააშენოთ ანაშენ ხიდნი ააგეთ.

ჯანსაღი პიროვნული განვითარების, ჯანსაღი ურთიერთობისა და ბედნიერი ოჯახისთვის კარგი კომუნიკაციაა საჭირო. ოჯახში მცხოვრებ ადამიანებთან კომუნიკაციის დამყარება შეიძლება სხვადასხვა გზებით იყოს შესაძლებელი, მაგრამ მთავარი მაინც კარგი კომუნიკაციის არსებობაა.

ოჯახში, უპირველეს ყოვლისა ჯერ მშობლებს უნდა ჰქონდეთ კარგი ურთიერთობა და ჯანსაღი კომუნიკაცია. თუ ოჯახში ცოლი და ქმარი ურთიერთობას გულღიად და ადვილად ახერხებენ, ბავშვებიც მათგან იგივეს ისწავლიან. ოჯახში ქცევა გადამდებია. ოჯახის ერთი წევრის კარგი ან ცუდი თვისება მეორე წევრზეც მოქმედებს. კარგად შეთანხმებული ცოლ-ქმარი კარგი მაგალითია ბავშვებისთვის.

არსებობს მიმართულებები, რომლებიც ურთიერთობის თვალსაზრისით უნდა იქნას

გათვალისწინებული. ურთიერთობისას დიალოგი, მოსმენა და გაგება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ოჯახის წევრები ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას უნდა ცდილობდნენ. როცა ერთი ლაპარაკობს სხვები უნდა უსმენდნენ და ყურადღება სხვა რამეებზე არ უნდა გადაიტანონ.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ თუ ერთი მხარე გაბრაზებულია მეორე მხარე უნდა გაჩუმდეს. ამ დროს კომუნიკაციას და ურთიერთობის შელაპარაკებით მოგვარებას, როგორც წესი უარესი შე-

დეგი მოაქვს. საუბრისას შეცდომების სახეში მიხლა არ არის რეკომენდირებული. თუ შეცდომის თქმა აუცილებელია, სასურველია ეს ირიბად, მინიშნებით ვუთხრათ. მოსაუბრე პირმდიმარი და ტკბილმოუბარი უნდა იყოს და იგივე მდგომარეობა უნდა ჰქონდეს მსმენელსაც. ამ შემთხვევაშიც, სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვა ძირითადი წარმმართველი ფაქტორი უნდა იყოს.

კარგი კომუნიკაციისათვის ყველა ხელსაყრელი მომენტი უნდა იქნას გამოყენებული.

ოჯახში შესვლისას და გამოსვლისას ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობაც კომუნიკაციის გამოვლინებაა. მომსვლელი დამხვდურებს უნდა მიესალმოს და დამხვდურებიც სახეღიმილიანი უნდა შეხვდნენ. სახლიდან გასვლისასაც დამშვიდობებაა საჭირო და დარჩენილებმაც წასული უნდა დალოცონ.

ოჯახში საკომუნიკაციო კანალების გადაკეტვა მრავალ პრობლემას წარმოშობს. უპირველეს ყოვლისა ეს ყველაფერი მხარეების ფსიქოლოგიურ პრობლემებზე მიუთითებს. ასეთ პირობებში ბავშვები არასრულფასოვნების შეგრძნებას განიცდიან და გაუცხოვება ემართებათ. ასე გაუცხოებული ადამიანები ერთმანეთს ძნელად იტანენ და ხშირია ოჯახური კონფლიქტები. გამომდინარე აქედან, ოჯახში, სადაც კარგი კომუნი-

კაცია არ არსებობს ბედნიერებაზე საუბარი თითქმის გამორიცხულია.

თანაცხოვრება

ოჯახში კეთილდღეობის გადანაწილება თანაბრად და სამართლიანად უნდა ხდებოდეს. ასევე თანაბრად უნდა გადანაწილდეს შესასრულებელი სამუშაო, პასუხისმგებლობა და სხვა მსგავსი.

ქორწინებამში მყოფმა წყვილმა თანაბრად უნდა გაინაწლოს როგორც ოჯახის საქმე და მოვალეობები, ისე თანაბარად უნდა მიიღონ ყველ ის სიკეთე რასაც მათ თანაცხოვრება აძლევს. ცნობილია, რომ წმ. შუამავალი თავის მეუღლესთან ერთად გართობასაც უთმობდა დროს და როგორც მისი ერთ-ერთი მეუღლე სათნო აიშე გადმოგვცემს, ერთხელ სირბილშიც კი გაჯიბრებიან ერთმანეთს. გამომდინარე აქედან, მუსლიმ მამაკაცს შეუძლია წესის და ზომიერების ფარგლებში მეუღლის გართობაზე იზრუნოს.

როგორც წესი, დაქორწინებისას ამბობენ ჭირსა და ლხინში ერთად ყოფილიყავითო. სწორედ ეს პრინციპი უნდა მოქმედებდეს. მეუღლეებმა ჭირი და ლხინი მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გაიზიარონ და ერთმანეთს გვერდი დაუმშვენონ.



ამგვარი მიდგომა უნდა გავრცელდეს არამარტო მეუღლეებზე, არამედ ოჯახის ყველა წევრზეც. მშობლების მიერ შვილების მისამართით სიყვარულის და მზრუნველობის გამოხატვა სწორედაც რომ მათთვის დროის დათმობითა და სასურველი რამეების ერთად გაკეთებით არის შესაძლებელი. ძვირიანი საჩუქრებით, ნაირ-ნაირი სათამაშოებით და მსგავსი მიდგომებით სიყვარულის და ყურადღების გამოხატვა არც ისე ეფექტურია. არც ცარიელი „მიყვარხარ შვილო“ სიტყვებიც კმარა საიმისოდ, რომ ბავშვი ამაში დარწმუნდეს. ბავშვებს ყველაზე მეტად ყურადღება სჭირდებათ და საამისოდ დრო უნდა დავუთმოთ. დღესასწაულებზე ძვირფას საჩუქრებზე მეტად ბავშვებს მშბლების ყურადღება და მათთან გატარებული წუთები დაამახსოვრდებათ.

ოჯახმა ერთად ყოფნისათვის დრო განსაკუთრებით უნდა შეარჩიოს. ეს შეიძლება იყოს პიკნიკი, სეირნობა, არდადეგები თუ სხვა მსგავსი აქტივობები. განსაკუთრებული ყურადღება კი მთელი ოჯახის ერთად სუფრასთან დასხდომას ენიჭება. ადამიანისთვის ოჯახში გატარებული დროის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ოჯახთან ერთად სუფრასთან გატარებული დროა.

სინაზე

ადამიანები ქორწინდებიან არა დროე-

ბით, არამედ მათი ერთად ყოფნა სიცოცხლის ბოლომდეა დაგეგმილი. ზოგჯერ ეს პერიოდი 50-60 წელი გრძელდება, ხოლო ზოგჯერ უფრო მეტხანსაც შეიძლება გაგრძელდეს. ამდენი ხნით თანაცხოვრებას ვიც შეუდგება ერთმანეთთან დამოკიდებულებაში სითბო და სინაზე უნდა გამოიჩინოს. ოჯახის წევრებმა ერთმანეთთან საუბრისას სასურველია გამოიყენონ მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც მიმართვის ადრესატს ესიამოვნება და მაქსიმალურად უნდა მოერიდოს ისეთი ტონით ლაპარაკს, როგორიც სხვების გულისტკენას გამოიწვევს.

უსიამოვნო და შეურაცხმყოფელი სიტყვების მოსმენა არავის სიამოვნებს. ასეთ სიტყვებს ადრესატის გულში მოურჩენელი ჭრილობების დატოვება შეუძლია. მართალია კამათის ან ჩხუბის შემდეგ შერიგება ხდება, მაგრამ ჩხუბის დროს ნათქვამი მწარე სიტყვა თავის ზემოქმედებას დიდხანს ინარჩუნებს. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევებში ურთიერთპატივისცემის და ურთიერთსიყვარულის ხარისხი იკლებს. ყველას გინახავთ ალბათ როგორ ანგრევს ხშირი დაჯახებებით ტალღები ქვებს. სწორედ ასე შეუძლია მწარე სიტყვის ხშირად თქმას დაანგრიოს ადამიანის გული და კეთილგანწყობა.

მუდმივად ცუდსიტყვაობა და ენამწარობა სიყვარულსა და პატივისცემას ანა-

დგურებს. არადა სიყვარულს და პატივისცემას გაფრთხილება და მოვლა სჭირდება. ქორწინებაში მყოფი წყვილის მიერ გამოჩენილი სითბო და სინაზე მათ შორის არსებულ სიყვარულსა დაურთიერთპატივისცემას გააღმავებს და გააძლიერებს.

სისუფთავე

„უეჭველად,ალლაჰს უყვარს მომნანიებელნი და უყვარს განწმენდილები!“ (ბაყარა 2/222)

ოჯახში სისუფთავე შესაძლებელია ორ ნაწილად გაიყოს. პირველი სახლის ზოგადი სისუფთავე და მეორე, ინდივიდუალური სისუფთავე. სახლის ზოგად სისუფთავეში სამზარეულოს, აბანოს, საპირფარეშოს და ზოგადად მთელი სახლის სისუფთავე იგულისხმება. სისუფთავე მნიშვნელოვანია როგორც ჰიგიენური თვალსაზრისით, ისე ფსიქოლოგიური მხრიდანაც. სუფთაც რომ იყოს, მოუწესრიგებელი ოთახი იქ მყოფების განწყობაზე ცუდად მოქმედებს. გამომდინარე აქედან სახლის ზოგადი სისუფთავე ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხია. ოჯახში სისუფთავეზე პასუხისმგებელი პიროვნება გაწეული შრომისათვის ხშირად უნდა შევაქოთ და სისუფთავის შენარჩუნებას ოჯახის ყველა წევრი უნდა ცდილობდეს. სისუფთავის შექმნაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი შენარჩუნება.

სახლის ზოგადი სისუფთავის შენარჩუნების პროცესში არც ავადმყოფური და პანიკური დამოკიდებულებაა საჭირო და არც ზერელედ უნდა მივუდგეთ საქმეს. როგორც არეულ და ბუნძურ სახლს შეუძლია გამოიწვიოს ადამიანების განწყობის გაფუჭება, ისე გადაჭარბებულად მოწესრიგებულ და სისუფთავეზე თანგადაყოლილ დამოკიდებულებასაც შეუძლია შეგვაწუხოს და დაგვთრგუნოს. ოჯახის ყველა წევრი სისუფთავეს უნდა იცავდეს და ამ თვალსაზრისით თითოეული მათგანის დამოკიდებულება უნდა იქნას გათვალისწინებული. თუ ოჯახის ერთი წევრი სისუფთავეს დიდი ყურადღებას უთმობს და მეორე ყურადღებას არ აქცევს, ამან შეიძლება ოჯახში კონფლიქტი გამოიწვიოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სისუფთავე, რომელიც ჯანმრთელობის და ბედნიერების პირობაა, ისლამის მიხედვით რწმენის ნიშანია.

ინდივიდუალური სისუფთავეს რაც შეეხება, ეს არის ხელის, ფეხის, თმის, პირის, ტანისამოსის და ზოგადად ადამიანის გარეგნული სისუფთავე. როგორც სახლის ზოგადი სისუფთავე, ისე ინდივიდუალური სისუფთავეც ოჯახში ჯანმრთელობის და ბედნიერების საწინდარია. ბუნებრივია, მოუწესრიგებელ, დაუვარცხნელ, კბილებგაყვითლებულ, ჭუჭყიან და დაუბანელ მეუღლეს არავინ ისურვებს. აუცილებელი არაა ადამიანს ძვირიანი სუნა-

მოს სუნი ასდიოდეს. საამისოდ წყლისა და საპნის სუნიც საკმარისია. სისუფთავე არის არამხოლოდ სხვისი,არამედ საკუთარი თავის პატივისცემა.

ოჯახის დიასახლისი სახლშ დაბრუნებულ ადამიანებს და განსაკუთრებით კი მეუღლეს მოუწესრიგებელი და ჭუჭყიანი არ უნდა დახვდეს. წმ. შუამავალი ბრძანებდა: „ ოჯახში ღამით როცა დაბრუნდებით უმალ არ შეხვიდეთ. აცალეთ სანამ (ოჯახი) თმას დაივარცხნის, მოწესრიგდება და საჭირო რამეებს მოაწესრიგებს.“ აღნიშნულ ჰადისში ნათლად არის მითითებული თუ როგორ უნდა შეხვდეს დიასახლისი სახლში მოსულ ქმარს. ამ რჩევის გათვალისწინება ადამიანებს არგებს როგორც ოჯახური ცხოვრების ნორმალიზების პროცესში,ისე საიქიოშიც,რადგან ამით წმ. შუამავლის რჩევას ვითვალისწინებთ.

სისუფთავე მოქმედებს თვალზეც,გულსა და გონებაზეც. თვალი ფოტოაპარატს გავს. რასაც დაინახავს იღებს და გონებაში იმახსოვრებს. გული კი ამ სურათებს გრძნობებად აქცევს. ეს გრძნობები ან სიმპათიას ბადებენ, ან კიდე ანტიპათიას. სუფთა სახლი და სუფთა სხეული გონებაშ ჩაბეჭდილი ფოტოა. ოჯახის წევრებმა ერთმეორეს მუდმივად ასეთი სასიამოვნო ფოტოები უნდა აჩუქონ.